საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

# ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1964 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№12 (6601) 17 მარტი ხუთშაბათი 1994 წელი

21 მარტი ჟურნალისტის დღეა

## ცხოვრების სარკე

ისტორიულ გარდაქმნათა პირობებში, რომლებიც ახლა ჩვენს რესპუბლიკაში მიმდინარეობს, განუზომლად იზრდება ბეჭვდითი სიტყვის, პრესის, საერთო-სახალხო საქმის ნაწილის როლი და მნიშვნელობა.

პრესა, რადიო, ტელევიზია იდეური ზეგავლენის, საზოგადოებისადმი პოლიტიკური ხელმძღვანელობის ძლიერი იარაღია, მასების მებრძოლი პროპაგანდისტია.

ქართული პრესა რესპუბლიკაში კეთილ ცვლილებათა აქტიური მონაწილეა. დიდია მისი წვლილი დემოკრატიზაციის პროცესსა და ეკონომიკური რეფორმების განხორციელებაში.

ამ დღეებში საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციამ მიიღო გადაწყვეტილება 21 მარტი დაწესდეს „ჟურნალისტის დღედ".

წინათ, კომუნისტური მმართველობის დროს, 5 მაისი იყო ბეჭვდითი სიტყვის მუშაკთა დღე, რასაც აღნიშნავდა საბჭოეთის ყველა ჟურნალისტი. 1990 წლის ნოემბერში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის გადაწყვეტილებით სხვა საბჭოური დღესასწაულებისა და დღეების გაუქმებასთან ერთად ბეჭდითი სიტყვის დღეც გაუქმდა.

ამიტომ საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციამ კარგი საქმე გააკეთა, რომ დააწესა ჟურნალისტის დღე. და იგი, როგორც ზემოთ ითქვა, აღინიშნება ყოველწლიურად 21 მარტს, იმ დღეს, როცა 1919 წელს პირველად გამოვიდა ქართული დემოკრატიული გაზეთი „საქართველო".

21 მარტი, როგორც საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარემ აკაკი სიხარულიძემ განაცხადა, უნდა გადაიქცეს საქართველოს ჟურნალისტის ნამოღვაწარის ერთგვარი დათვალიერება-შეფასების დღედ. ჟურნალისტები უნდა შეხვდნენ შრომით კოლექტივებს, საზოგადოებრიობას, ისაუბრონ ხელმძღვანელ ორგანოთა მუშაკებთან არსებულ პრობლემებზე, სამომავლო ამოცანებზე. არადა დღეს პრესა, ტელევიზია, რადიო დიდი პრობლემების წინაშე დგას, რაც გამომდინარეობს იქიდან, რომ რესპუბლიკა უმძიმეს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და მორალურ კრიზისშია, ისეთში როგორშიც ალბათ მსოფლიოს ხალხთა ისტორიაში ბევრი არ ყოფილა. რაიონული, საქალაქო თუ მთელი რიგი რესპუბლიკური გაზეთების რედაქციები არ ეძლევათ დაფინანსება, მხოლოდ საკუთარი შემოსავლების ანაბარა არიან დარჩენილი, ვერ მარაგდებიან ქაღალდით, სასტამბო შრიფტით, მანქანებით თუ სხვა ტექნიკური საშუალებებით. ტონა ქაღალდის ღირებულებამ ბა[?]... მილიონ კუპონს გადააჭარბა. ამიტომაა, რომ ბევრმა რაიონულმა თუ სხვა გაზეთებმა შეწყვიტეს გამოსვლა.

რესპუბლიკის ცხოვრების დღევანდელ ეტაპზე ჟურნალისტთა უპირველესი ამოცანაა: აქტიური მონაწილეობა მიიღონ ჩვენი ცხოვრების დემოკრატიზაციაში, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში, პრივატიზაციის განხორციელებაში, მართვის ეკონომიკური მეთოდების ათვისებაში, იყონ იმათ მხარეზე, ვინც იბრძვის ქვეყნის რეალური დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის, დემოკრატიზაციის განხორციელებისათვის.

ახლა განსაკუთრებით საჭიროა რედაქციის თითოეული მუშაკის ცხოვრებისეული პოზიცია, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობა, ცხოვრების შეულამაზებლად, რეალურად ასახვა. ამასთან რაიონის თუ რესპუბლიკის ხელმძღვანელმა ორგანოებმა და ხმარება უნდა გაუწიონ რაიონული გაზეთების მუშაკებს როგორც ეკონომიკურად ისე მორალურად.

## ენერგოკრიზისი და ჩვენ

**დღეს საქართველოში უმძიმესი ენერგო კრიზისია. გრაფიკის უმკაცრესი დაცვით მიეწოდება ელექტროენერგია ქალაქებსა და რაიონებს, სასიცოცხლო დანიშნულების ობიექტებს და ისიც არა ხშირად. ჩვენი რაიონი ამ მხრივ გამონაკლისია და ელექტროენერგიით მართლაც განებივრებული ვართ. ამ ფონზე უხერხულიც კი უნდა იყოს იმაზე ლაპარაკი, რომ ელექტროენერგიის საფასურის გადახდა პრობლემაა, რაც ენერგოზედამხედველობისა და კომერციის ქუთაისის საწარმოს ცაგერის უბნის მუშაკებს დიდ სიძნელეებს უქმნის მუშაობაში. 300 მილიონი კუპონი დებიტორული დავალიანება აქვს დღეისთვის რაიონს. მოვუსმინოთ ელექტროზედამხედველობისა და კომერციის ქუთაისის საწარმოს ცაგერის უბნის უფროსს ზაურ ახვლედიანს.**

მინდა მკითხველმა იცოდეს, რომ რაიონის მიერ დახარჯული ელექტროენერგია მისხალ-მისხალ იანგარიშება ლაჯანურჰესის საერთო მრიცხველში. ამ დროს ძალზე დიდია სხვაობა გაცემულ ენერგიასა და ამოღებულ თანხას შორის-დაახლოებით 20-30 პროცენტი, ასე რომ, დარღვეულია აღრიცხვა-ხარჯვის ბალანსი.

საერთოდ, ერთი კილოვატსაათი ელექტროენერგიის ღირებულება 600 კუპონია. მოსახლეობა კი იხდის 100 კუპონს, სხვაობის კომპენსაციას სახელმწიფო ბიუჯეტი იძლევა. და რამდენად გულსატკენია, რომ 100 კუპონიც ვერ ამოგვიღია მოსახლეობის დიდი ნაწილისაგან.

რაც შეეხება საწარმო-ორგანიზაციებს, ბევრს უზარმაზარი დავალიანება აქვს.

ასეთებია: კომუნალური მეურნეობა, რაიონული საავადმყოფო, ორბელის, ალპანის, ლაილაშის საკრებულოები და სხვები. არადა თვეს თვე ემატება და დავალიანება კიდევ უფრო იზრდება. მინდა კიდევ ერთხელ შევახსენო ყველას, რომ საქენერგო მართლაც გვიწევს ანგარიშს, რომ მაღალი რელიეფის პირობებში ვცხოვრობთ, რომ ლაჯანურჰესი ჩვენს ტერიტორიაზეა, მაგრამ ამას არანაირი კავშირი არ აქვს მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის არ გადახდასთან. ბოლოსდაბოლოს მას შეუძლია შეუწყვიტოს რაიონს ელექტროენერგიის მოწოდება.

ჩვენთვის ყველაზე დიდი პრობლემაა, რომ ვერ გავდივართ მოსახლეობაში, ადრე გვქონდა, მუშაობის პირობები, გვეძლეოდა საწვავი, ვაკონტროლებდით ელექტროენერგიის ხარჯვას, აღრიცხვას, ვიღებდით საჭირო ზომებს, გვეხმარებოდნენ სამართალდამცავი ორგანოებიც. ეს გამაფრთხილებელი და სასარგებლო მუშაობა იყო. ახლა ყოველგვარ მსგავს მოკლებული ვართ, კონტროლიორებს უძნელდებათ მოვალეობის შესრულება. დღეს მთელი დატვირთვა ელექტროენერგიაზე მოდის და ბუნებრივია, რა გზით არ იპარავენ. გვაპატიოს ბევრმა, მაგრამ გულახდილად უნდა გითხრათ, რომ მომხმარებელმა ისე წაგვართვა თავი, რომ ბევრზე არაფერი ჭრის. მოსახლეობის დიდ ნაწილს არ აქვს მრიცხველი. ადრე თავად გვქონდა მრიცხველები, ჩვენივე ძალებით ვდგამდით ოჯახებსა თუ დაწესებულებებში, ტექნიკურ მხარესაც ვაქცევდით ყურადღებას. ახლა თვეში ერთხელ თუ შევედით სოფელში გაჭირვებით. იციან ხვალ და ზეგ მეორედ ველარ მივბრუნდებით და ნებაზეა მიშვებული ყველა...

ერთი სიტყვით რა მინდა ვთქვა: ჩვენ მართლაც არ გვეთქმის სამდურავი ელექტროენერგიის მოწოდების მხრივ. ვფიქრობთ, მოხმარებულის გადაუხდელობაზე უბრალოდ სირცხვილია ლაპარაკი.

## მუსიკალური სკოლა: სურვილები და პრობლემები

თავისი არსებობის ოთხი ათეული წლის მანძილზე ცაგერის სამუსიკო სკოლაში თაობები ეზიარენ კლასიკურ მუსიკალურ განათლებას, ამათგან არა ერთი დღეს თავად ასწავლის მშობლიურ სკოლაში.

ახალგაზრდა პედაგოგები მზევინარ მეშველიანი, მედიკო ყურაშვილი, იზა ხეცურიანი, მაკა დავითულიანი, ირმა ცხვედიანი თავიანთ უფროს კოლეგებთან ერთად პროფესიონალიზმითა და ერთგულებით ეკიდებიან მოსწავლეთა სწავლა-აღზრდას.

თუმცა მარტოოდენ პედაგოგთა პროფესიონალიზმი ვერ გამოდგება იმ არაერთი პრობლემის დასაძლევად, რომელიც ჩვენი ყოფის ნებისმიერ სფეროში ბუდობს, და რომელმაც, რა თქმა უნდა, სიძნელეები წარმოშვა სწავლების პროცესში. თუნდაც უტრანსპორტობა, რის მიზეზითაც მოზარდები ქალაქს საკმაო მანძილით დაშორებული სოფლებიდან ოყურეშიდან, ჩქუმიდან, ლუხვანოდან და ა. შ. ვერ ახერხებენ გაკვეთილებზე დროულ დასწრებას, ამიტომაცაა, რომ მუსიკალური ცოდნის შეძენის სურვილით სკოლაში მოსულ ამ პატარებს უდგენენ სპეციალურ სამეცადინო ცხრილს, ეხმარებიან თავიანთი შესაძლებლობის მაქსიმუმით.

კარგა ხანია არა ჰყავთ ინსტრუმენტის ამწყობი, და ეს ამწყობის შტატის შემცირების მიზეზით. აქ მტყუან-მართლის გამრჩევად ვერ გამოვდგებით, ერთი რამ შეგვიძლია აღვნიშნოთ, სამუსიკო სკოლის ისედაც ხანგასულ ინსტრუმენტებს, აუცილებლად ესაჭიროება სპეციალისტის ხელი. მითუმეტეს ახალი მუსიკალური ინსტრუმენტების შეძენა არ მოხერხდება.

სკოლის მესვეურები წუხან, რომ ვიოლინოს კლასს, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინ ჩამოყალიბდა და სადაც არაერთი ნიჭიერი მოზარდი სწავლობს, არ ჰყავს სპეციალისტი პედაგოგი. მასწავლებელი ირმა ცხვედიანი, რომელიც ვიოლინოს ასწავლის, თავადაც მოსწავლეა, ქუთაისის მუსიკალური სასწავლებლის მესამე კურსელია. ირმას, თავად ამ სკოლის აღზრდილს, აქაურობისადმი სიყვარული იზიდავს და კიდევ სურვილი მოზარდები ეზიარონ ამ მომხიბვლელ მუსიკალურ ინსტრუმენტს.

ამავე სამუსიკო სკოლის აღზრდილი, სპეციალური მუსიკალური განათლების მქონე ფეფუშა ასათიანი ლაჯანაში იქაურ ბავშვებს ფორტეპიანოს ასწავლის. რა თქმა უნდა, მუსიკალური სკოლის ამ ფილიალს საბაზო სკოლაზე არანაკლები პრობლემები აქვს. მაგრამ პედაგოგს მინდობილ ნორჩებს შეუძლიათ დაეუფლონ მუსიკის ენას.

შესამჩნევია, რომ რაიონში სწრაფვა საშუალო მუსიკალური განათლების მიღებისადმი დიდია. ამჟამად სამუსიკო სკოლაში ორასზე მეტი ბავშვი სწავლობს. ბევრი მათგანი კარგად. დამეთანხმებით, რომ დახვეწილი მუსიკალური გემოვნების, მუსიკის სულიერ შრეებს დაუფლებული, მაღალი კულტურის მქონე თაობები მომავლის სიმდიდრედ გვექნება. და ეს ყველაფერი მიიღწევა სკო-

დასასრული მე-3 გვერდზე

დრო, განცდა, თვალსაზრისი

ზოგჯერ თქმა სჯობს უთქმელობას და ზოგჯერ თქმითაც დაშავდებისო, უკ ვე სიმღერად ქცეული სი-ბრძნეა. მართალია, სიტყ-ვას და კალამს მსგავსი თავისუფლება იშვიათად ღირსებია, მაგრამ არც სიტყვა და საქმე ყოფილა ესოდენ პოლარული ოდ-ესმე. გამოდის, რომ, დღე ვანდელი სიტყვა ქვეყნის ტკივილიდან კი არა, რი-ტორობის შესაძლებლობ-ათა საზომი გახდა.

წარსულმა რომ უსიამ-ოვნო მოგონებათა მთელი შრეები დალექა, უტყუა-რია.

დან, გარდა მართვის ძბრძანებლურ-ადმინისტ-რაციული მეთოდებისა, მთლიახად მოწყდა ხალხს და 50-იანი წლებიდახვე გაჩნდა სინდრომები მისი დაშლა-დამხობისა. ამი-ტომ რაც მოხდა, ნურავინ გაიცნობიერებს პირად დამსახურებად.

რაც მთავარია, ნგრევით ალტკინებულ და მეოცნე-ბეთა წყებებს, სწრაფად დაუჭირა მხარი ქვეყნის ძარცვა-გლეჯით ცოდვა-დამძიმებულმა კომუნისტ-ურმა მაფიამ, რომელმაც ერთიანი ძალით მოახდინა ძველის არა დემონტაჟი, არამედ დანგრევა და მო-

ველოდეთ დროს და ოთა-ხის ლექვივით ღრენა და-ვუწყეთ კოლოსალურ მა-ლას, დღესაც რომ ძილს უფრთხობს მთელ მსოფლ-იოს, აღნიშნულმა არა მა-რტო სასაცილო, არამედ სავალალო მდგომარეობაში ჩაგვაგდო, დავკარგეთ ის რაც გვქონდა და ქვეყანა შაგრენის ტყავივით დნება. ყოველივე ამან ხალხში და ამკვიდრა პესიმისტური გა-ნწყობა, წარსულის ნოსტ-ალგია. ხალხს მოეწყინა არარეალური მისტიციზმი და საიქიოს სამოთხით კვე-ბა. მან იცის, რომ ადამია-ნი იბადება ერთჯერ და მასაც სურს ამ მარადიულ სამყაროში მისი სიცოცხ-ლის წუთი ადამიანურად გაატაროს.

მოთმინება ხალხში ისე

ილი და დეკლასირებული ქვეყანა ვართ, რომლის უს ახური მედეგია ვენდენტურ-კლანური კრიმინოგენური ურჩხული, რომელიც ბიბ-ლიური ლევიათანივით რომ მთანთქავს ყველაფერს, რა მაც მოახდინა აზროვნების დეფორმაცია და ცხოვრე-ბის კალაპოტიდან ამოაგ-დო საზოგადოება, ადამი-ანის პირველი საფიქრალი გახდა ბიოლოგიური გადა-რჩენა, დააყენა ისინი მე-ჯლანჯავილობის გზას, ან ალპურვა მტაცებლის ქვენა-ცხოველური ინსტიქტე-ბით.

დღეს ადამის მოდგმის უპირველესი სურვილია, რომ დოოზე განიგმიროს ეს შხამისნთხეველი ბასი-ლისკო. არა სულ უკან ყუ რება და სხვისი ნაქნარის

# განსაგმირავი ურჩხული და მახვილი მესიისა

გვახსოვს ტრიბუნაზე აღზევებული „პირველი"-აპლომბისა და ეგოტიზმის (საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენის) ქარბუქს რომ აყენებდა, მისი აპო-ლოგეტები კი დარბაზს თვალებს უტრიალებდნენ და მათგან ტაშის მოგრო-ვებას მოითხოვდნენ. ადა-მიანის ბედიც ხომ „პირ-ველის" პირად სურვილე-ბზე იყო აგებული, ყველ-აფერი მისით იჭრებოდა და იკერებოდა გვახსოვს იგიც, რომ მავანს და მა-ვანს თავი ჯუნგლებში მოხვედრილად მიაჩნდა და თავი წამებულ მისიონერად მოჰქონდა. მსგავსი მოგო-ნებანი იმდენი იყო დახვ-ავებული, რომ ჩამოთვლ-ები შორს წაგვიყვანდა, რადგანაც დრო იყო იდეების დაცემის, წარსულის გად-აფასების, მომავლის უპე-რსპექტივობის, რამაც ლო ნე გამოულია და გამოფ-იტა მსოფლიოში ერთ დროს უძლიერესი და დიდი პრესტიჟის მქონე ზესახელმწიფო.

ქვეყნის მმართველი ელიტა, რომელიც ყველ-აფერს შეელია წარსული-

იწადინეს გ. წ. „დემოკრ-ატიული სამოთხის" უპრ-ოექტოდ მშენებლობა რომლის მეტასტაზები დღესაც ყელში უჭერს ქვეყანას.

ყველაზე ნაღდი ისაა, რომ ხელთ შეგვრჩა იმაზე უარესი, ვიდრე იყო. დე-მოკრატიის კეტით დარეტ-იანებული ხალხი მაშინ მოვიდა გონს, როდესაც სი მპატიური გამომძალველე-ბის ხელიდან ორგანიზებ-ულად შეიარაღებული მძა რცვლების ხელში აღ-მოჩნდა, როდესაც ქვე-ყანა აშკარად განუ-კითხაობის კოშმარში ჩა-იძირა და საზოგადოების ყველაზე საიმედო ნაწილი თავზეშემოგლეჯილი და შეწირული აღმოჩნდა. რო დესაც მას არსებობის ის საშუალებაც გამოეცალა, რაზედაც წინათ შეფარდ-ებათა გამო თუ გულისო-ბდნენ, თორემ ხინამდვი-ლეში არაფერი არ აკლ-დათ, ახლა ის აღმოჩნდა მკაცრი სიმართლის წინაშე, რომ ერთეულებმა სიმდი-დრე დააგროვეს, ხოლო ათასებმა გამათხოვრების სუსხიანი აჩრდილი იწვნიეს.

თავისუფლების ეიფორ-იით გაბრუებულნი არ და

იმალება, როგორც ნაპერ-წკალი ტალში, მაგრამ ერთ ჯერაც თუ ჩამოკვესა, მისი ჩაქრობა გაძნელდება, ხალხს ისეთი მმართველობა უნდა, რომ ამ ზღვარზე არ მიი-ყვანოს, ხალხმა კარ-გად გაიცნობიერა, რომ საქართველოში მომხდარმა მოვლენებმა მავანს და მა-ვანს სოლომონის განძი და უგროვა, რის შემდეგ ბე-ვრი პოლიტიკურ კრაზანად იქცა, ნაწილმა კი მიატოვა მათ მიერ გაუბედურებული ქვეყანა და სხვა ქვეყნებს მიაშურა. დიდი ფილოსო-ფიაა ღმერთმანი, მათ მიერ დანგრეულ და გაპარტახე-ბულ ქვეყანაში ცხოვრე-ბას რომ საფრანგეთის თუ იტალიის რივიერებზე თუ შვეიცარიის, ავსტრიის ალ პებთან ცხოვრება რომ სჯობია, მაგრამ ასეთია საქა-რთველოს უბედურ შვი-ლთა გადაწყვეტილება.

დღეს ყველა ნაღდი ქა-რთველის აყეფებულ სა-ხსლს თუ გამეხებულ სულს აწუხებს კითხვა: რანი ვართ ჩვენ? რაზედაც პას-უხი არ შეიძლება ცალ-სახა იყოს, რადგანაც დღეს ჩვენ უპირველესად ვექო-ნომიკო და უხელფასო, მა რკანტილიზმით შეპყრობ-

ჩხიბვა რომ არაფერია სი კვდის მომტანი არ არის, რადგანაც 40 წელზე მეტია ანათემას ვუცხადებთ წა-რსულს და ჯერ ჯერობით ქარს ვთესავთ და ქარიშ-ხალს ვიმკით, რომ არაფე-რი მომენტის „ვეფხვების" სურვილის მიხედვით არ კეთდება, რადგანაც ისტო-რიის ზანტმა საცერმა ყვე ლაზე უფრო კარგად იცის, რა უნდა გაატაროს და რა უნდა დაიტოვოს.

არ უნდა მოხდეს ჭეშ-მარიტების იგნორირება, რომ ყველაფერი დამოკი-დებულია პირობებზე, ად-გილსა და დროზე. კი, მა-რთალია, ქვეყანაში იმდენი შეცდომები, უკანონობა, ჭუჭყი და ნაგავი დაგრო-ვდა და ერთმანეთში აიზი-ლა, რომ მისი გადარეც-ხვა ერთ ჰერაკლეს კი არა მთელ ჰერაკლეების დინა-სტიასაც გაუჭირდება, მაგ-რამ ეს რომ უნდა გაკეთ-დეს, მეორე აზრი არაა. გა ნა დიდი შეცდომა არ იყო ყოვლად საჯაყი მოწოდება კერძო საკუთრების ეგი-დით: „რაც საერთოა, რაც ყველასია, ის არავისი არ-აა" — და ხელფეხი რომ გაეხსნა კრიმინალურ სამ-ყაროს, პირთამდე რომ

გახსნეს პანდორას ყუთი და აირჭინდად რომ გა-მარცვე[illegible]
შემდეგ [illegible]
ესივსე [illegible]
ვოისეს და ასევე უსირ-ცხვილოდ გაუყვეს თურ-ქეთისა თუ სხვათა მაკ გზას? ასე სულთამხუთავი მაკლაკუნასავით რომ აჩენს იმედგაცრუებულ და დაღ-ლილ სულის მქონე სა-ზოგადოების ცნობიერებას.

დღევანდელი ეხეოგიული ლოთიისაიეახი იმედების გა-სოჭყინესაა, მაგრამ იგიც ნათელია, რომ პანდორას ყუთის გახსნა უფრო იოლი გამოდგა, ვიდრე ათას უბ-ედურებათა უკან ჩაბრუ-ნება. ვერც უკანონობით გა-ნულუქებული მავანი ელე-ვა ძველ შეხედულებებს, სამართალდამცავთა მორი-საც არიან მავი აზრისა და ჭუჭყიანი ხელის მარლატ-ახები, კარგად რომ ფლობენ ფლოხისა და ავისკეთების ფერწყმის ხელოვნებას. და მხამაჟის ქოძაგი ორმაგად დამნაძავეა. გამჭვირვალედ უნდა ჩახდეს კანონის უზ-ენაესობა და არა კანონზე ხებისმიერი ვიგინდაროს ზე-ოთა. ეს ხომ კანონი აღარ იქნება. მიუხედავად იმედის ნხივისა, საზოგადოება ბევრ ლაქებს უყურებს, რაც გა-უმჟღავნებელი ფიროვოთ აისახება მისი ცნობიერე-ბის ოადარზე, მაგრამ და-დგება სათანადო მომენტი და გამჟღავნდება, რაც მეხთატეხად დაატყდება ყველას, ვინც აბუჩად იგ-დებს კანონს და საზოგა-დოებას.

ყველამ უნდა გაიცნო-ბიეროს დანაშაული და სა-სჯელი, ჯერჯერობით დე-დი გალაკტიონის არ იყოს „ყველაფერი არის ძალზე კარგად, ყველაფერი ძლიერ ცუდად არის". მაგრამ ყვე-ლაფერს იმას, რასაც სინ-ამდვილეში ვხედავთ და ყველაფერი ეს ცხოვრების ნორმად თუ უნდა იქცეს, წყალსაც წაუღია ასეთი დე-მოკრატია და მართლაც, ღმერთმა დაგვიფაროს ასე-თი დემოკრატიისაგან, თუმ-ცა სულმნათი აკაკი იმედს ღვთის ნიჭს უწოდებს და ნურც ერთ ქართველს ნუ გამოულიოს ეს ნიჭი.

**ნ. მესხაძე,**

**ლაილაშის საშუალო სკო-ლის დირექტორი.**

სკოლაში

# გვინდა ვიწამოთ გაზაფხული

გაზაფხული მოდის.. ტკბილი ბურანი ნელ-ნელა ეშვება ჩემს თვალ-ებთან, სულიც განაგრძობს უხილავ არსებობას.. თე-თრმა ენძელებმა გამიღიმეს ლურჯთვალა იებმა სითბო მაგრძნობინეს, მწვანე ხა-ლიჩებმაც შემოსა ლეჩხუ-მის მიწა..

...ლასურიაშის საშუალო სკოლა... შევდივარ სკო-ლაში და ვგრძნობ ღვთი-ურ ჰარმონიას. მოსწავლე-ების ლურჯთვალა იებივით ლამაზი ღიმილი ვიგრძენი. მზე თავის მადლიან სხი-ვებს აფრქვევს, გაზაფხუ-ლი შემოსულა თითოეულ ჩვენგანში... აფეთქებულან კვირტები, გარეთ გაზაფხ-ული ფუსფუსებს. გაზაფ-

ხულზე ვიღაც უნდა გიყ-ვარდეს, გაზაფხულზე ვი-ღაცაზე უნდა ოცნებობდე, სხვანაირად არ შეიძლება იწამო გაზაფხული.

აი, მოსწავლეებს დარბ-აზი ყვავილებით მოურთ-ავთ. იხსნება შეკრება „დედავ, მიეც მამულს ძე და მომავალი!" ინთება სანთლები, ციმციმებენ ლამაზი თვალები, თითოე-ულის სულში იღვრება „დედაშვილობის" მადლი. მე-10 კლასის მოსწავლე ირმა ჰაპუკიანი უძღვება შეკრებას.

...გაზაფხულის დღე მი-ვულოცეთ ერთმანეთს და მერე ყველაფერი აეწყო. ისმება კითხვები: რას ნი-შნავს დედობა თუ დედა-

შვილობა? რა გადაარჩენს საქართველოს, რამდენი შვილი უნდა ყავდეს დე-დას და კითხვებს პასუხები მოჰყვება, მსჯელობენ დე-დები, პედაგოგები, მო-სწავლეები და ვხე-დავ, რომ მოდის ,მომ-ავალი, მოაშრიალებს თა-ვის ულამაზეს მოსასხამს, უცისფრეს ზმანებებში ჩა-ძირული წარმტაცი ღიმილი კრთება მათ ბაგეებზე და მწამს, რომ სწორედ ლაშა თუ ნიკა, ქეთი თუ მარიკა, ირმა თუ მკა, სოსო თუ ფოთოლა გადაარჩენს ჩვენს მომავალს.

დარბაზში ლექსებიც იფრქვევა, იუმორიც არის, ჩანახატებიც, მუსიკაც... რაღაც იდუმალ მეჩურ-ჩულება: „რომელმა ზებ-

უნებრივმა ძალამ მიანდო ქალის ნაზ ხელებს მსოფ-ლიო საგანძური-შვილები? და მე უსაზღვროდ ბედნ-იერი და სიკეთით სავსე ვარ, რომ ამ დარბაზში დედებიც არიან, მომავალი დედებიც „მასწავლებელი ზოგჯერ უშვილო, მაგრამ მრავალი შვილის აღმზრდ-ელიც" არიან, შვილებიც არიან და კიდევ ერთი-ამ დარბაზში საქართველოს დიდი სიყვარული დაახი-ჯებს. იხსენებენ ჩვენი მოს წავლეები ატირებულ დე-დებს თუ გახარებულ დე-დებს, შაოსან დედებს თუ სამშობლოში ლტოლვილად წოდებულ დედებს და თვა ლები სხვაგვარად ციმციმე ბენ... ყოველთვის ტკივილი გვაფხიზლებდა რატომღაც.

და ბოლოს დაღლილ თვალებში ჩამდგარი ცრე-მლები ულამაზეს გრძნო-ბებად გვეღვრება, მზია მასწავლებელი მადლობას უხდის მოსწავლეებს და მასწავლებლებს, დედებსა და შეკრების მონაწილეთ...

და შეკრება დასრულდა ერთი რწმენითა და იმედ-ით: დედებო! ამრავლეთ მოდგმა ქართველთა, არ დამაბუნდეთ, არ შეშინდ-ეთ, არ დაიჩოქოთ. თქვენი სახება მელანდება ყოველ ცისმარე და ამ გაზაფხულს თქვენს ხატებასთან მე დავ იჩოქებ, ავანთებ სანთლებს და ვილოცებ, რათა ამ გაზაფხულივით ლამაზი და ნარნარი ყოფილიყოს თქვე ნი ხატება.

**ნანა კენჭაძე,**

**ლასურიაშის საშუალო სკოლის მასწავლებელი.**

## ღია ჭრილობა

ყველა კარგად იცნობდა ლეჩხუმში ჩქუმელ ავთო დოძენტის ძე თუთისანს. სამხედრო-სავალდებულო სამსახურიდან ოფიცრის ჩინით რომ დაბრუნდა, ბარდნალის საშუალო სკოლაში დაიწყო სამხედრო საქმის მასწავლებლად მუშაობა. უშურველად გადასცემდა ახალგაზრდობას სამხედრო საქმის ცოდნას, უნერგავდა სამშობლოს სიყვარულს.

# ცხრაჯერ

# დაჭრეს,

# მაგრამ ჯერ

# მოკლეს

ავთო თუთისანმა აფხაზეთში მცხოვრებ მანანა ჰაბუკიანს დაუკავშირა თავისი ბედი და არც შემცდარა. სოხუმში მცხოვრებმა ქალიშვილმა არ დაიკილა ლეჩხუმის ერთ-ერთ, მეტად შორეულ, კლდეებს შორის მდებარე პატარა სოფელ ჩქუმში წასულიყო საცხოვრებლად და იქ 10—15 წელს ეცხოვრა. ორი შვილი აღზარდეს, ორთავე სწავლის წარჩინებულები.

ავთო თუთისანი შემდეგ ცოლ-შვილით აფხაზეთში გადავიდა საცხოვრებლად, ... ელგანთქმული სოფლის, ... და კელასურის ბარათაშვილის სახელობის კოლმეურნეობის ტერიტორიაზე იყიდა სახლ-კარი და ლეჩხუმურად კოხტად მოაწყო. ოჯალეშის ტალავერიც კი გააკეთა, ცოლიკაურის ჯიშის ვენახი ჩაყარა.

კოდა, ხარობდა სხვებთან ერთად თუთისანების ოჯახი. მაგრამ ეს სოფელი სოლომდე განა გაახარებს ვინმეს? და როცა აფხაზეთში უბედურება დატრიალდა, ძმათამკვლელი ომი გაიალდა, თადარიგის ოფ... ავთო თუთისანს სახლში რა გააჩერებდა, იარაღი აისხა და პირდაპირ ფრონტს მიაშურა. მონაწილეობდა აჩადარის, გუმისთის, შრომის, კამანის ფრონტებზე მეტად უთანასწორო ბრძოლებში.

ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე სოხუმის რაიონის სოფელ ახალსოფელში, სადაც 75 პროცენტი არაქართველები ცხოვრობდნენ კერძოდ, სომხები, დაიწყეს ფულის შეგროვება, რომ ეყიდათ იარაღი აფხაზი სეპარატისტებისათვის. სარწმუნო წყაროებიდან ცნობილი გახდა გვარდიის ქვეგანყოფილებისთვის, რომ ნაყიდი იარაღი ინახებოდა ერთ-ერთ სომხის ოჯახში.

სოხუმის დაცვის 23-ე მექანიზებული ბრიგადის შტაბში ავთო თუთისანს სხვებთან ერთად დაევალა აღნიშნულ სოფელში მეტად მოხერხებულად გაესინჯა შენიშნული არაქართველთა ოჯახები, კერძოდ, ერთი სომხური ოჯახი გვარად კარაპეტიანი.

მეორე დილით ადრიანად და არა ნაჩქარევად იმ ღამესვე სამხედრო საქმის მცოდნე გვარდიელი კარაპეტიანების ჭიშკართან მივიდა და შიგ შესვლა დააპირა თუ არა, უკნიდან ტყვიები დაახალეს. ვინ ... როლა, ვერც მერე გაიგო ვიმმემ, როცა მკვდრის წასაყვანად მოვიდნენ, სახლში არავინ იყო, ხოლო სარდაფში ბომბების და სხვა იარაღის არსებობის კვალი ჩანდა, მოესწროთ მათი გატანა გარეწრებს.

ასე დაიღუპა სპეციალური, საგანგებო ოპერაციის შესრულებისას ჩქუმელი ავთო თუთისანი, რომელიც გადმოსვენებულ იქნა ლეჩხუმში და დაასაფლავეს მშობლიურ სოფელ ჩქუმში.

პიმენ ლეთოდიანი.

## [illegible]

# ხეხილის მავნებლებს

# ახლა უნდა ვებრძოლოთ

ხეხილოვან კულტურას დიდ ზიანს აყენებს სხვადასხვა სოკოვანი დაავადებანი, რომლებთაგან უპირყოფითი სამეურნეო მნიშვნელობით ხასიათდებიან ვაშლისა და მსხლის ქეცი, შავი კიბო, ფოთლის დაფაცხავება, ატმის ფოთლის სიხუჭუჭე, ნაყოფის სიდამპლე და სხვა.

**ქეცი**—აავადებს ვაშლისა და მსხლის ფოთლებს, ტოტებს და ნაყოფებს. დაავადების გამოჩენის პირველი ნიშნები ჩვენს პირობებში აღინიშნება აპრილის მესამე დეკადაში, ახალგაზრდა ფოთლებზე მოყვითალო ლაქის სახით, რომელიც შემდეგში ხმება და იფარება დასაწყისში მუქი წენგოსფერი, ხოლო შემდეგში შავი ხავერდოვანი ფიფქით, რომელიც წარმოადგენს სოკოს კონიდიალურ ნაყოფიერებას, რომლითაც ვრცელდება მთელი ზაფხულის განმავლობაში. ნაყოფზედაც ანალოგიური ლაქები ჩნდება. დაზიანებულ ადგილას ნაყოფი არ იზრდება, სკდება და ძლიერი დაავადების დროს ცვივა კიდეც.

**შავი კიბო**—აავადებს ტოტებს, შტამბს, ნაყოფს, იშვიათად ფოთლებს. ტოტებზე და შტამბზე ჩნდება ყავისფერი გრძელი ლაქები, რომლებსაც კიბოსებრი იარის სახე აქვს, ნაყოფები შავდებიან, როგორც ბაღში ისე შენახვისას.

**ფოთლის დაფაცხავება**—კურკოვნების ტოტების, ფოთლებისა და ნაყოფების დაავადებაა. დაავადების შედეგად ფოთლებზე ჩნდება პატარა მომრგვალო ლაქები, რომლებიც საღი ნაწილებისაგან ამოვარდება, ფოთოლი მთლად დაცხრილულია და ცვივა. ასეთივე ლაქები ჩნდება ტოტებზეც საიდანაც იწყება წებოს დენა.

**ფოთლის სიხუჭუჭე**—ატმის ერთ-ერთი სერიოზული დაავადებაა, რაც კვირტებიდან გამოსვლისთანავე ჩნდება. დაავადების ნიშანი თავიდანვე ფოთლის ფირფიტის დახუჭუჭებით იწყება. ფოთოლი უფრო უხეში და ადვილად მტვრევადი ხდება და ცვივა. ამ პერიოდში დამახასიათებელია ხის ტოტების კენწეროს მთლიანად გაშიშვლება. ნაადრევად გაცვენილი ფოთლების ადგილას მომავალი წლის კვირტების ხარჯზე ახალი ფოთლები ვითარდება, რაც იწვევს შემდგომ წლებში უნაყოფობას. ავადმყოფობის ხელშემწყობ პირობად დაბალი ტემპერატურა და ხოტიო ამინდები ითვლება, მეტადრე კვირტის გაშლის პერიოდში.

**ნაყოფის სიდამპლე**—კურკოვნებისა და თესლოვნების დაავადებაა, იგი ვრცელდება ადრე გაზაფხულზე, ვრცელდება ყვავილებზე და ახალგაზრდა ფოთლებზე, ხოლო შემდგომში ნაყოფზე, რის გამოც მოსავლიანობა საგრძნობლად მცირდება.

**ბრძოლის ღონისძიებანია**

ადრე გაზაფხულზე დაზიანებული, გამხმარი ტოტებისა და ნაყოფების მოცილება, შეგროვება და დაწვა, ვინაიდან მათში იზამთრებს მთელი რიგი დაავადებების გამომწვევი მიკროორგანიზმები.

**ქიმიური ღონისძიებებიდან** საჭიროა კურკოვნებში საყვავილე კვირტების დაბერვის მომენტში „ცისფერი“ წამლობის ჩატარება 3 პროცენტიანი ბორდოული სითხით ამის შემდგომ წამლობები ტარდება 1 პროცენტიანი ბორდოული სითხით ან 0,5 პროცენტიანი ხომეცინით. პირველი წამლობა დაყვავილებისთანავე; მეორე წამლობა წინა წამლობიდან 10—12 დღის ინტერვალით, მესამე წამლობა 15 დღის შემდეგ.

**თესლოვნებში:** პირველი წამლობა კოკრების განცალკევების ფაზაში, მეორე დაყვავილებისთანავე, მესამე—როდესაც ნაყოფი კაკლის ოდენა გახდება; მეოთხე—წინა წამლობიდან 15 დღის შემდეგ—მეხუთე წინა წამლობიდან 20—25 დღის შემდეგ.

შენიშვნა—ყველა წამლობაში გამოყენებული იქნება ხომეცინი 0,5 პროცენტიანი (500 გრამი 100 ლიტრ წყალში) ამასთან ბრძოლის ღონისძიებათა სისტემაში აუცილებელია ნაცრის წინააღმდეგ პირველი წამლობის კომბინაციაში გაერიოს 0,8 პროცენტიანი კოლოიდური გოგირდი, ხოლო თუ ხეხილის ბაღში ერთდროულად გავრცელებულია მავნებლები მაშინ ხომეცინს უნდა შევურიოთ ფოზალონი 0,3 პროცენტიანი კონცენტრატით.

აღნიშნული პრეპარატების გამოყენება ხეხილის ბაღში უნდა შეწყდეს 20—30 დღით ადრე მოსავლის აღებამდე.

## ფოსტა

# ვიყიდით

# კომერციულ

# ფქვილს

გაჭირვებით დღეს ვის გააკვირვებ, მაგრამ გაჭირვებაც არის და გაჭირვებაც. ნორმით გათვალისწინებულ პურის ფქვილს ხშირად დაგვიანებით ვიღებთ, ორი—სამი თვის დაგვიანებითაც კი და დარწმუნებული ვართ, რასაც გვაძლევენ, არც ერთი ჩვენთაგანისათვის არ არის სამყოფი.

თითქმის ყველა ქალაქსა და რაიონში მოქმედებენ კომერციული მაღაზიები, სადაც პურის ფქვილით ვაჭრობენ. ეს კარგია. ადამიანს აქვს საშუალება ნორმის ზევით კომერციულ ფასში შეიძინოს მისთვის სასურველი ოდენობის ფქვილი. ჩვენს რაიონში ამის საშუალება არ არის. არადა არ მგონია ოჯახი, რომ ნორმირებული ფქვილი აკმაყოფილებდეს. შეიძლება ვინმემ იკითხოს, რა იაფად ჩვენ აქ ფქვილს მოგვცემენ, მაღაზიის გახსნას რომ ითხოვენო. რა თქმა უნდა, ეს გვესმის, მაგრამ რა ვქნათ, მით უფრო, ბევრი ბავშვების პატრონები ვართ. ამას წინათ მიღებული ხორბალი რომ დავფქვით, ბავშვებს მთელი თვე ამ პურით ვერ გამოკვებავ, უბრალოდ არ შეიძლება. ამ დროს მიუხედავად სიძვირისა, ვიყიდით კომერციულ ფასში, ყველაფერს მოვიკლებთ და ვიყიდით, თუნდაც 6—10 კილოგრამს როცა საქმე პურს ეხება. მაგრამ არა იხე, სახლებში რომ აქვთ ფქვილები და ღმერთად რომ ექცე. ტომარას არ გაგიხსნიან.

ო. გოგიძე, თ. ბასვიანი, შ. შკუბულიანი.

ქვედა ცაგერი

# მუსიკალური სკოლა: სურვილება და პრობლემება

(დასასრული).

ლაში, სადაც ერთი ოთახიც ვერ ვიპოვეთ, ჭერჩამონგრეული, ფათქაშჩამოცვენილი კედლები, საეჭვოდ მოქანავე იატაკები, და კიდევ თითქმის გამოუყენებელი შენობის მთელი ნახევარი—აი, ამ შენობის სახე. როგორც აქ გვითხრეს, ეს მიწისძვრის კვალიაო, რის შემდეგაც ჩაუტარებიათ შენობის სარემონტო სამუშაოები, მაგრამ ამით დიდად არაფერი შეცვლილა.

შენობა არანაირად არ შეეფერება სკოლას და მითუმეტეს სამუსიკო სკოლას, სადაც ჩვენისაზრით, სამეცადინო ოთახებიც კი ესთეტიური უნდა იყოს, ხოლო ბავშვი, თუნდაც პეღაგოგი, სასიამოვნო განწყობით ეგებებოდეს ყოველ სამეცადინო დღეს.

როცა სამუსიკო სკოლაზე ვსაუბრობთ, უნდა გავიხსენოთ რამდენად სასიამოვნო იყო ლეჩხუმლებისათვის შეხვედრა სამუსიკო სკოლის პედაგოგთა ოქტეტთან, და საერთოდ ყოველი კონცერტი, ამ სკოლის მონაწილეობით. დღეს ეს ყველაფერი შეგვიძლია მხოლოდ მოვიგონოთ. ვიცი, ისიც ითქმება ახლა რა გვემღერებაო, ვერ გავიზიარებთ ამ აზრს, რადგანაც მუსიკა ყოველთვის არსებს ომშიც და ლხინშიც, იგი ადამიანის შემოქმედების ნაყოფია და მასთან განუყოფელი, შვიდი მუსიკალური ბგერით შექმნილი უდიდებულესი სიმდიდრე.

ტრადიციულად, სასწავლო წლის დასასრულს სამუსიკო სკოლაში საანგარიშო დახურული კონცერტი იმართება, სადაც არაერთხელ გამოვლენილა მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდები. ვისურვებდით, რომ ჩვენს პატარა მუსიკოსებს წელს დახურულ კონცერტებზე კი არა, ფართო მსმენელის წინაშე წარმოეჩინოთ თავიანთი ცოდნა და ოსტატობა.

...სამუსიკო სკოლის კედლებიდან უკვდავ კომპოზიტორთა პორტრეტების მზერა მიაცილებს სანოტო ჩანთებით დამძიმებულ ნორჩებს მუსიკის დიდ გზაზე. აქ პედაგოგთა პროფესიულ ალღოს და თუნდაც მარტოოდენ მათ ენთუზიაზმს დაყრდნობილ ბავშვები ითავისებენ მუსიკის საოცარ სამყაროს

ლ. ცხვედიანი.

# უმუშევართა და სამუშაოს მაძიებელთა საყურადღებოდ

გაცნობებთ, რომ 1 აპრილიდან გაუქმებულია დახმარებისა და შემწეობის ძველი აღრიცხვა. საბუთების გადახალისებისთვის უმუშევარმა საჭიროა პირადად წარმოადგინოს: ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, მიწის ნაკვეთის შესახებ, საგადასახადო ინსპექციიდან, შრომის წიგნაკი, პასპორტი. წინააღმდეგ შემთხვევაში დახმარება არ გაიცემა.

ცაგერის რაიონის შრომის ბირჟა.

---

როსტომ როინის ძე ზურაბიანს

გილოცავთ დაბადების დღეს. სასახელო ვაჟკაცი გაიზარდე დედისა და ე[illegible]დაუვიწყარი მამის სასახელოდ.

დეიდა, დეიდაშვილები ოჯახებით.

---

ხათუნა, ნური ხეცურიანებს

ნაზიკო, მურთაზ ჩაკვეტაძეებს

გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის შეძენას. გამრავლდით.

შოთა ჩაკვეტაძე ოჯახით.

---

## გილოცავთ

მურთაზ, ნაზიკო ჩაკვეტაძეებს

გილოცავთ შვილიშვილის შეძენას.

იზო გოგოხიძე, გოგი გოლეთიანი, ამირან კვირკაშვილი, ლაშა გურჯალიანი ოჯახებით.

---

ხათუნა, ნური ხეცურიანებს

გილოცავთ ვაჟიანობას. დაგვედებოდეთ შვილთა სიმრავლე.

მარიკა და ნათია გენიძეები.

---

ნოდარ არსენის ძე ხეცურიანს

გილოცავ შვილიშვილის პატარა ვაჟკაცის შეძენას. ბედნიერი იყოს მისი ამქვეყნად მობრძანება. სწორედ ახლა გვჭირდება შეძენა და გამრავლება.

დიდი ბაბუა პიმენ ლეთოდიანი.

---

კლარა, ზაურ ახვლედიანებს

გილოცავთ შვილიშვილის შეძენას. გიმრავლოთ შვილიშვილები. სიხარული არ მოკლებოდეს თქვენს ოჯახს.

ალბერტი ჩახხიანი, ილუშა ურთმელიძე, კოსტა კვირკაშვილი ოჯახებით.

---

თამილა, გურამ ტვილდიანებს

გილოცავთ სოფიკოს ბედნიერებას.

გურამ, ლენორა გიორგობიანები, ლია ნიკოლაიშვილი, მერი ხეცურიანი, ცარო ახვლედიანი.

---

ნაზიკო, მურთაზ ჩაკვეტაძეებს

გილოცავთ შვილიშვილის შეძენას. იმრავლეთ, სიხარულით იცხოვრეთ.

გულნაზი, შოთა კოპალიანები.

---

ლეილა ჯიაძეს

გილოცავთ დაბადების დღეს.

ლელა და ავთო.

---

ხათუნა ჩაკვეტაძეს, ნური ხეცურიანს

გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერის სასახელო ვაჟკაცი.

კომუნალური მეურნეობის გაერთიანების თანამშრომლები.

---

შურა ჭენდელიანს

გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას და ყოველივე კარგს ცხოვრებაში.

აზა ახვლედიანი, მაკა გურჩიანი, სოფო სილაგაძე.

---

ხათუნა, ნური ხეცურიანებს

ნაზი, მურთაზ ჩაკვეტაძეებს

გილოცავთ პატარა გიორგის დაბადებას. აღზრდილიყოს ერის სასახელო შვილი.

ლევან, კაპიტო, თამაზ ჩიქოვანები, შიო ახვლედიანი, ტარიელ სალინაძე ოჯახებით.

---

ხათუნა, ნური ხეცურიანებს

ნაზიკო, მურთაზ ჩაკვეტაძეებს

გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს სასახელო ვაჟკაცი.

თალიკო, ჯემალ, რამაზ, თამაზ კოპალიანები.

---

ნატო ცვარიანს, კახა ჭაბუკიანს

გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას.

დათო ხეცურიანი ოჯახით

---

ხათუნა ჩაკვეტაძეს, ნური ხეცურიანს

გილოცავთ ვაჟიანობას. მრავალი შეგძინოთ.

შორენა და როსტომი.

---

## ხსოვნა

# ფრიდონ პლატონის ძე აბაშიძე

შვილივით გაზრდილო და შვილებში გაურჩეველო ძმაო, უკვე წელიწადნახევარი გავიდა ისე მალე, რომ უკან მოხედვაც ვერ მოვასწარით. გიორგობის თვე იყო ჩვენი გზების გასაყარი, გიორგობის თვე — გაწბილება ყველა იმედის. ნუთუ ეს ასეა?.. შენს ოთახში ცხელ ცრემლად ილევა კანტი სანთელი. მისი ალი ეფინება კედელზე ჩამოკიდებულ სურათებს, მოგვენატრე, გვენატრება შენი საუბარი, შენი ნათელი სახე, ყველასგან გამსხვავებული სიცილი. გვაკლიხარ ყოველ დღე და ყოველ წუთს. 22 მარტს შენი დაბადების დღეა, წელს მეორედ ვხვდებით ამ დღეს უშენოდ. თვალცრემლიანი, გულდაკოდილი, დამუნჯებული ვდგავართ შენი სურათების წინაშე, ვერაფერი მოგვიფიქრებია. გვტკივა შენი მონატრება, ნუთუ ეს უბრალო მონატრებაა და სხვა არაფერი? გეძებთ, გეძახით, შენ კი არ მოდიხარ, ჯერაც გვგონია კარს შემოაღებ, შემოხვალ გაღიმებული, აუღელვებელი, ლამაზი კეთილი, როგორ უყვარდი ყველას, გვენატრები ფრიდონ. გილოცავთ დაბადების დღეს. მსუბუქი იყოს შენს ლამაზ განიერ მხარ-ბეჭზე დაყრილი მიწა.

დაბადების დღეს გილოცავთ, ფრიდონ, შენი ერთადერთი და, სიძე, დისშვილები

დარეჯანი, თენგიზი, ონისე,

დათო.

---

შვილები გრიშა, ენდი, თამარი, ჟენია, ვერა, ლოლა მედიკო, რძალი ნაზიკო, შვილიშვილები, შვილთაშვილები, რძლები, სიძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ბაბილო

ჩხეტიანი—ხეცურიანი.

დაკრძალვა 19 მარტს, შაბათს სოფ. ლვირიშში.

---

ძმები შოთა, დავითი, ბიცოლები ლილი, დუდუშა, ბიძაშვილები გულო, აზა, რამაზ, გულვერ, რეზო, ბორის სალინაძეები, რძლები თინათინი, მანანა, როზა, სიძეები კარლო ჩაკვეტაძე, ბორის დაშნიანი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ირმა ჟორას ასული სალინაძე

---

შოთა, მუხრან, ლიპარტელიანები, სოსო ჩარკვიანი, კუკური, ნოდარ კოპალიანები, ამირან კვირკაშვილი ოჯახებით თანაუგრძნობენ ლეილა, თამაზ ლიპარტელიანებს

განუშა გორდეზიანის

გარდაცვალების გამო.

---

თამაზ ჩარკვიანი, ასლან ფოჩხიძე, გუგული ხაბულიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დავით რამინის ძე

კიკალიშვილი.

---

ორბელის საშუალო სკოლის 1992 წლის კურსდამთავრებულები თანაუგრძნობენ ნინო გურჯალიანს მამის

ჯიმშერ გურჯალიანის

გარდაცვალების გამო.

---

აგრომრეწვბანკის ცაგერის განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნაზი ხაბულიანს სიძის

დავით კიკალიშვილის

გარდაცვალების გამო.

---

შვილები ვაჟა, ნაზიკო, რძალი ჟუჟუნა თოთაძე, და შურა, ძმა ძირილე, შვილიშვილები ჯონი, ლია, ზურაბი, დარეჯან, სოსო, მარინე, შვილთაშვილები თამრიკო, თემური, ძმისშვილები, დისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვერა ბესარიონის ასული

ქომეთიანი—მუშკუდიანი.

დაკრძალვა 17 მარტს, ხუთშაბათს, სოფ. ლასურიაში.

---

ჩხუტელის საშუალო სკოლის მე—10 კლასის მოსწავლეები თანაუგრძნობენ მანანა ჭაკუჭიანს ბებიის

ლუბას

გარდაცვალების გამო.

---

ქეთინო, ბადრი გურგუჩიანები თანაუგრძნობენ ჭირისუფალს

თინა მუშკუდიანის

გარდაცვალების გამო.

---

კავშირგაბმულობის ლასურიაშის განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ მიხეილ მუშკუდიანს მეუღლის

თინა ირემაძის

გარდაცვალების გამო.

---

კავშირგაბმულობის ლაჯანის განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ მიხეილ მუშკუდიანს მეუღლის

თინა ირემაძის

გარდაცვალების გამო.

---

ავთო ჩორგოლიანი ოჯახით თანაუგრძნობს კატუშა, იური ჩხეტიანებს დისა და დეიდის

თინას

გარდაცვალების გამო.

---

შვილები ნუნუ, ლილი, ნუგზარი, შმაგი, შვილიშვილები ლაშა, ლევანი, გურამი, ეკონო, თამაზი, ნატო, ნინო, ვენერა, დედმამიშვილები ვაჟა, ეთერი, გერონტი, ნაზი, მადონა, რძლები, სიძეები, ცოლისდები, დისშვილები, ძმისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დავით რამინის ძე

კიკალიშვილი.

დაკრძალვა 17 მარტს, ხუთშაბათს სოფ. ბარდნალაში.

---

და მარგალიტა, გურამ მუშკუდიანი, ომარ ჭაბუკიანი, იზოლდა გურჯალიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

პინა ივანეს ასული

სალინაძე—კოპალიანი.

---

რაისაავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლეილა სადილიანს დედის

განუშა გორდეზიანის

გარდაცვალების გამო.

---

გუჯუ მეშველიანი ოჯახით თანაუგრძნობს გენადი კვირკაშვილის ოჯახს სიძის

ჯიმშერ გურჯალიანის

გარდაცვალების გამო.

---

ლასურიაშის საკრებულოს, საექიმო უბნის, ბიბლიოთეკის, კულტურის სახლის, კავშირგაბმულობის განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ეთერ სვანიძეს მამიდის

ლუბა ჭაბუკიანის

გარდაცვალების გამო.

---

შარდენ კოპალიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

შოთა ჩაკვეტაძე.

---

ჩვენი გაზეთის მორიგი ნომერი გამოვა 31 მარტს.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი ნ. ნემსაძე.

გაზეთი მუშაობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. ავტორთა აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე.

რედაქციის მისამართია: 384100 ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №56, ტელეფონი 22—81.